

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი



მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი

საკანონმდებლო ბაზა

ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებლის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2010)
- ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებლის პროფესიული სტანდარტი (დასამტკიცებელი)

დამატებითი დოკუმენტები:

- კვალიფიკაციების ჩარჩო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
- მოდულების შემუშავების სახელმძღვანელო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მსურველი უნდა ფლობდეს საბაზო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;
- ასაკსა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული წინაპირობები არ არსებობს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები

ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებლის დასაქმების სფეროებია:

- ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელ მცირე, საშუალო და დიდი მოცულობის საწარმოები
- ხილისა და ბოსტნეულის სტაციონარული საცავები
- ხილისა და ბოსტნეულის შესანახი მაცივრები

- ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობები
- ნედლეულის მიმღები პუნქტები

თვითდასაქმების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მოამზადოს კვალიფიკაციის მესამე დონის ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი, რომელიც შეძლებს:

- განახორციელოს ნედლეულის სახეობისა და გადამამუშავებელი პროდუქტის სახის შესაბამისი ტექნოლოგიური პროცედურები;
- დაიცვას გარემოს, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება
- დაიცვას მისაღები პროდუქტის უვნებლობა

სპეციალისტები შეიძენენ და განივითარებენ პროფესიულ და ზოგად/ტრანსფერულ უნარებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

- გარემოს, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვას
- პროდუქციის ხარისხის და უვნებლობის დაცვას
- ხილისა და ბოსტნეულის მიღებას და პირველად დამამუშავებას
- ხილისა და ბოსტნეულის სწრაფგაყინვას
- ხილისა და ბოსტნეულის შრობას
- ხილისა და ბოსტნეული წვენების წარმოებას
- ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი პროდუქტების წარმოებას
- მზა პროდუქციის დაფასოებას - ასეპტიკური მეთოდი, სტერილიზაცია, პასტერიზაცია
- შეძლებს მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი ეტაპის მანქანა-დანადგარების და აპარატურის გამოყენებას მუშაობის პრინციპისა შესაბამისად.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულები განივითარებენ შემდეგ უნარებს:

- კომუნიკაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;
- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
- პროფესიული და ზოგადი ღირებულებების დაცვა
- პროფესიული განვითარება
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- პრობლემების გადაჭრა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა - მოდულები

	მოდულები	კრედიტები
სავალდებულო პროფესიული მოდულები		
1.	გარემოს, შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება	4
2.	პროდუქციის ხარისხი და უვნებლობა	3
3.	ხილისა და ბოსტნეულის ბიოლოგიური თავისებურებები	1
4.	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიური საფუძვლები	1
5.	ხილისა და ბოსტნეულის ფიტოქიმიური საფუძვლები	2
6.	ხილისა და ბოსტნეულის მიღება და პირველადი დამუშავება	5
7.	ხილისა და ბოსტნეულის სწრაფგაყინვა	3
8.	ხილისა და ბოსტნეულის შრობა	3
9.	ხილისა და ბოსტნეული წვენების წარმოება	6
10.	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება	9
11.	მზა პროდუქციის დაფასოება	1
12.	პრაქტიკული პროექტი	2
13.	სამუშაო გამოცდილების მიღების მოდული	4
14.	საწარმოო პრაქტიკის მოდული	6
ჯამი		50 კრედიტი
სავალდებულო ზოგადი/ტრანსფერული უნარები		
15.	კომუნიკაცია	65 სთ
16.	უცხო ენა	84 სთ
17.	ინფორმაციულ -კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება	54 სთ

18.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	22 სთ
19.	მეწარმეობის საფუძვლები	75 სთ
ჯამი		12 კრედიტი
არჩევითი პროფესიული მოდულები		
20.	ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობის საფუძვლები	2
21.	პომიდვრის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია	5
22.	ხილის კონცენტრირებული წვენის წარმოება	5
23.	ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების საბაზისო კვლევის ლაბორატორია	3
ჯამი		15 კრედიტი

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო

- პროფესიული კვალიფიკაცია “ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი” პირს მიენიჭება იმ შემთხვევაში თუ იგი:
 - წარმატებით დაასრულებს ყველა სავალდებულო პროფესიულ, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს და ორ არჩევით მოდულს (შემოთავაზებული ოთხი მოდულიდან).